საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Районного Совета народных депутатов.

№94 (6320) სამშაბათი 7 აგვისტო 1990 წელი ფასი 3 კაპ.

## საკვები-90

# ნუ დავკარგავთ შესაძლებლობებს

გასულ წელთან განსხვავებით წლევანდელი წელი შედარებით ნაკლებად ხელსაყრელია ბალახის ზრდა-განვითარების, სათიბების მოსავლიანობის ზრდისათვის. ახლა სოფლის მშრომელთა გადაუდებელი საზრუნავია დროულად და უდანაკარგოდ იქნას დათიბული ბალახი. ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის მობილიზება გაუკეთდეს ყველა შესაძლებლობას, რადგან ყველასათვის ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ სასურსათო პროდუქტების, კერძოდ რძისა და ხორცის დეფიციტის აღმოფხვრის საფუძველი, რასაც ახლა ასე მწვავედ განიცდის რესპუბლიკის მოსახლეობა როგორც ქალაქად ისე სოფლად, მხოლოდ საკვების საიმედო ბაზაა.

ჩვენი რაიონის მიწის მთლიანი ფონდიდან 1324 ჰექტარი სათიბს უჭირავს, საიდანაც მიმდინარე წელს გეგმით 5610 ტონა თივა უნდა დავთიბოთ და მოვიმარაგოთ ზამთრისათვის. ახლა კი ზაფხულის მეორე თვე დასრულდა და მხოლოდ თითო ოროლა საზოგადოებრივ მეურნეობაში იგრძნობა ზრუნვა ამ მიმართებით, გაკეთებული კი ჯერჯერობით ბევრი არაფერია. არადა ერთობლივი მონდომება, იმ კარგი ტრადიციის აღდგენაა საჭირო, რაც წინა წლებში გვქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელიდან გვეცლება საკვების დამზადების დიდი შესაძლებლობები.

რით ავხსნათ ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი ადგილებზე ასეთი ინდეფერენტული დამოკიდებულება? მართალია, ჩვენდა საზიანოდ ამ დაძაბულ პოლიტიკურ და სოციალურ სიტუაციაში ბევრმა ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზმა მოიყარა თავი, რამაც ამ საქმის ძალზე ნელი ტემპით წარმართვა განაპირობა, არადა რაც დრო გავა უფრო და უფრო დაიკარგება ბალახის ყუათიანობა. მართალია, საწვავის ნაკლებობაა, რის გარეშე მთის სათიბებიდან თივის გადმოტანა არ მოხდება, მაგრამ თუ კი გულთან მივიტანთ ამ დიდ საჭიროებას, მოხერხდება, რომ შემოსული საწვავის უფრო მეტი რაოდენობა მოხმარდეს რაიონის სოფლებს, იქ მიმდინარე სამუშაოებს, რადგან საკვების ზამთრის მარაგის, ხილის მიღებაგადაზიდვის თუ სხვა გადაუდებელი საქმის ბედი ახლა წყდება.

ამ საქმის ასე ნელი ტემპით წარმართვის მიზეზი ისიცაა, რომ საზოგადოებრივ მეურნეობაში სამეურნეო ხელმძღვანელები იმ მოტივით, დღეს თუ ხვალ კოლმეურნეობა მაინც გაუქმდება და თავი რატომ შევიწუხოო, სრულ უმოქმედობას იჩენენ.

დროა ადგილებზე სამეურნეო და საბჭოთა ხელმძღვანელებმა, იაქტიურონ ამ დიდი საქმისათვის, ხელი შეუწყონ საკვების დამზადებაში იმ კოლმეურნეებს, რომლებსაც დღეისათვის იჯარით ყავთ პირუტყვი გაყვანილი მოსავლელად.

არა, ასე უმოქმედობა არ გამოგვადგება, თვით დინებაზე მიშვებული ეს დიდი საქმე, გამოიწვევს იმას, რომ ბევრი მთის სათიბი უპატრონოდ, დაუთიბავი დაგვრჩება, რაც ზამთრისათვის პირუტყვის დამშევას გამოიწვევს. ის სიძნელეები, რაც ამჟამად მთის სათიბების თიბვას ახლავს, რა თქმა უნდა, მთიბავთა სიმრავლეს მოითხოვს, ამიტომ საკვების დამზადება მარტო რაიონის მცხოვრებთა კი არა, საზაფხულოდ დასასვენებლად ჩამოსულთა ერთიან ძალისხმევასაც ითხოვს. შრომის ამ მნიშვნელოვან უბანზე ახალგაზრდობას მართებს თავისი სიტყვა თქვას.

ასე, რომ ყველამ ერთად უნდა ვიშრომოთ, ერთმანეთის თანადგომით დავძლიოთ ჩამორჩენა, ჩვენი სათიბების პატრონს პირუტყვის გამოზამთრებისათვის საფრთხე არ უნდა შეგვექმნას.

# წლის კარგი ფინიშისათვის

წლის ფინიშთან პირნათელი—ამ დევიზით ირჯებიან ლასურიაშელი მეცხოველეები, მიუხედავად სიძნელეებისა მათ წარმატებით გაართვეს თავი მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დაკვეთის შესრულებას. დამზადებულია 144,7 ცენტნერი ხორცი და 364,7 ცენტნერი რძე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება დაგეგმილს.

* * *

ნაყოფიერი გამოდგა წლის განვლილი 7 თვე მეფრინველეობის სამეურნეობათშორისო საწარმოს მეღორეებისათვის. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 42,9 ცენტნერი ხორცი, როცა 9 თვის დავალება 50 ცენტნერის მიყიდვას ითვალისწინებს.

* * *

წლის განვლილ 7 თვეში ნაყოფიერად იშრომეს ქალაქის კინო-თეატრის თანამშრომელებმა. მათ მშრომელთა მომსახურების გეგმა 129 პროცენტით შეასრულეს.

რეპერტუარის შერჩევამ, მომსახურების კულტურის ამაღლებამ განაპირობა ის, რომ კინოსანახაობიდან შემოსავალი დაგეგმილი 6100 მანეთიდან 7900 მანეთამდე გაიზარდა.

ასევე მიცემული გეგმის შესრულებას წარმატებით გაართვეს თავი რაიონის კინოფიკატორებმა. 7 თვეში კინოსანახაობიდან შემოსავალმა 16320 მანეთი შეადგინა, რაც 2520 მანეთით აღემატება დაგეგმილს.

# საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

როგორც ვიცით, ა. წ. 26 ივლისიდან მთელი რიგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებანი აწყობდნენ რკინიგზის ტრანსპორტის, აგრეთვე რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმოს ბლოკირების აქციებს.

მთელი ამ მოქმედების შედეგად გაჩერდა მატარებლების მიმოსვლა და მგზავრები იძულებულნი გახდნენ დანიშნულების პუნქტებში ჩასულიყვნენ ავტობუსებით, თვითმფრინავებითა და კატარღებით.

გაუარესდა საწარმოთა მომარაგება ნედლეულით, მაკომპლექტებელი ნაწარმით, ნავთობპროდუქტებით, რესპუბლიკის მოსახლეობას დააკლდა ათასობით ტონა სასურსათო და სამრეწველო საქონელი. სახალხო მეურნეობამ რამდენიმე მილიონი მანეთი იზარალა.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო კონფლიქტის პირველივე საათებიდან მიმართავდნენ აქტიურ ძალისხმევას, რათა დაეცხროთ წამოჭრილი დაძაბულობა, აღედგინათ საწარმოების და ტრანსპორტის ნორმალური მუშაობა, ენერგომომარაგება, შეექმნა სპეციალური „საკრიზისო" შტაბი, მინისტრთა საბჭოს, უწყება-სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების აპარატები გადავიდნენ მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სისტემატურად ქვეყნდებოდა ცნობები უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მუშაობის შესახებ, მათი მიმართვები მოსახლეობისადმი და განცხადებები შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

აქციების ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა წამოაყენეს მოთხოვნები გადმოეტანათ უზენაესი საბჭოს სესიის გამართვის თარიღი 17-დან 7 აგვისტოს და გამოექვეყნებინათ პრესაში არჩევნების კანონის მხოლოდ ის პროექტი, რომელიც მათ შეიმუშავეს და ერთადერთ მისაღებ პროექტად მიიჩნდათ.

ამასობაში კი მუშაობა სესიის მოსამზადებლად, აგრეთვე არჩევნების კანონის დასახვეწად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში ექსპერტთა, სპეციალისტთა, უზენაესი საბჭოს დეპუტატთა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოძრაობების წარმომადგენელთა დიდი ჯგუფის მონაწილეობით.

30 და 31 ივლისს იგი გაგრძელდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გივი გუმბარიძის ხელმძღვანელობით. კომისიის მუშაობის მონაწილე ზოგიერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლებს დაწვრილებით განუმარტეს დოკუმენტებზე მუშაობისა და გამოსაქვეყნებლად მათი მზადყოფნის მდგომარეობა. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ სესიის მოწყობის უნმიშვნელოვანესი პირობაა რესპუბლიკაში მშვიდი, საქმიანი, დემოკრატიული ვითარების შექმნა.

როგორც თავიდან იყო, ნავარაუდევი, 1 აგვისტოს რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა არჩევნების კანონის სამი ალტერნატიული პროექტი, რომელთაგან ორი შემუშავდა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო ერთი —წამოაყენეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა გაერთიანებებმა. ამრიგად, რესპუბლიკის საზოგადოებრიობას მიეცა შეხაძლებლობა და დრო, მშვიდად გაეცნოს პროექტის ვარიანტებს, განიხილოს ისინი კოლექტივებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. გადაწყდა, უცვლელი დარჩეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის მოწყობის თარიღი — იგი 17 აგვისტოს გაიმართება.

1 აგვისტოს დილაადრიან თბილისისა და სამტრედიის რკინიგზის კვანძის ბლოკადა შეწყდა, პიკეტები მოიხსნა. ამიერკავკასიის მაგისტრალზე კვლავ იწყება მატარებლების მოძრაობა.

ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურა, აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები იძიებენ მართლსაწინააღმდეგო, მოქმედების ფაქტებს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ სესიის წარმატებით გამართვას ხელს შეუწყობს უაღრესად მშვიდი, საქმიანი, დემოკრატიული ვითარება და ერთხელ კიდევ მოუწოდებს ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებასა და მოძრაობას გადაწყვიტონ რთული პრობლემები კოლეგიურად, კონსტრუქციული დიალოგისა და თანხმობის გზით.

# ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

ორი დღის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სახალხო ფრონტის მეორე ყრილობა. ცნობილია, რომ ყრილობის პირველი ეტაპი გაიმართა ივნისის დამლევსა და ივლისის დამდეგს. მაშინ ვერ მოხერხდა ყრილობებს შუა პერიოდში ფრონტის ხელმძღვანელი ორგანოს—დარბაზის არჩევა.

სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტით დაიწყო მეორე ეტაპის პირველი დღე. 44 ადგილზე პრეტენზიას აცხადებდა 52 კაცი. ფარული კენჭისყრის გამართვის შემდეგ დარბაზში მთლიანად შეივსო ვაკანტური ადგილები.

მეორე დღის დილა დაიწყო ყრილობის მონაწილეებისადმი საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარის, „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური გაერთიანების ლიდერის ზვიად გამსახურდიას მიმართვით. მან მოუწოდა შეკრებილთ მხარი დაუჭირონ მრგვალი მაგიდის ორგანიზაციების მიერ მოწყობილ აქციებს, რომლებიც მოითხოვენ 7 აგვისტოს მოიწვიონ საქართველოს უზენაესი საბჭოს სესია, გაიმართოს რესპუბლიკაში დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნები. ყრილობამ მხარი დაუჭირა ამ მოთხოვნებს.

ყრილობის მონაწილეებმა განიხილეს მთელი რიგი ოპოზიციური პარტიების მიერ შემუშავებული ალტერნატიული კანონი რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტი მოიწონეს.

ამით საქართველოს სახალხო ფრონტის ყრილობამ დაასრულა მუშაობა.

ბ. კორძაძე,
საქინფორმის კორ.

## უპირატესობა ფლეხურ მეურნეობას!

# ასეთია ალპანელ კოლმეურნეთა გადაწყვეტილება

**ამ დღეს ხანს** რესპუბლიკის მასშტაბით დიდი ყურადღება ეთმობა გლეხური მეურნეობის საკითხებს. დღეს, როცა საქართველო დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება სოფლის მეურნეობის გონივრული გაძღოლა, მიწის უყირათიანი გამოყენება, ნაკლები დანახარჯებით მეტი და იაფი პროდუქციის წარმოება, რომ შეიქმნას სასურსათო პროდუქტების სიუხვე. დღეს გამოსავალს მთიან რაიონებში არარენტაბელური მეურნეობის ბაზაზე გლეხური მეურნეობების შექმნაში ხედავენ, რომ გლეხს დაუბრუნდეს მიწის სიყვარული, მიტოვებულ სოფლებს მუშა კაცი.

ეს ახალი საქმეა და მისი წარმატებული განვითარება მრავალი პრობლემის გადაჭრას მოითხოვს. ჩვენი რაიონის ბუნებრივი პირობები, მისი რელიეფი, სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვნება მკვეთრად ართულებს გლეხური მეურნეობების განვითარებას. საჭიროა ყველა კოლმეურნეობისადმი, სოფლისადმი კონკრეტული ნიდგომა, ადგილობრივი პირობების, მიწის ფონდის გათვალისწინება, მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების რეკომენდაცია, რომელიც ხელს შეუწყობს თითოეულ რეგიონს მოგვცეს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი.

წარმოდგენილი წლის 29 ივნისს გამართულმა ცაგერის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის რაიონული საბჭოს მეთორმეტე სესიამ განიხილა რა საკითხი— „რაიონში გლეხური მეურნეობების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, მიღებული გადაწყვეტილებით დაევალა სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს, რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის უზრუნველყოფის რაიონულ კომისიას ჩაეტარებინათ ყველა წინა სამზადისი და ივლის-აგვისტოში გაემართათ კოლმეურნეთა საერთო კრებები.

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში გლეხურ მეურნეობაზე გადასვლისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად 3 აგვისტოს ალპანის კოლმეურნეობაში გაიმართა კოლმეურნეობის საერთო კრება.

კრებაზე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ო. კვენტაძემ.

კრების მონაწილეებს კოლმეურნეობაში გლეხური მეურნეობის უპირატესი განვითარების შესახებ ესაუბრა რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის უზრუნველყოფის რაიონული კომისიის თავმჯდომარე, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე დ. ი. სვანიძე.

ცაგერის რაიონში გლეხური მეურნეობების განვითარების შესახებ დროებითი დებულება გააცნო რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ კ. ხეცურიანმა.

კრებაზე შემოვიდა მრავალი შეკითხვა, რაზედაც გაიცა ამომწურავი პასუხები.

საკითხების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეებმა შალვა ხვადაგიანმა, სონია სილაგაძემ, ნიკო და ოთარ ფრუიძეებმა, ჯიბილო ჭოხონელიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ რამაზ კოპალიანმა და სხვამ.

ღია კენჭისყრით კრების მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კოლმეურნეობის ნაცვლად ალპანის კოლმეურნეობაში შემავალ სოფლებში შეიქმნას გლეხური მეურნეობები.

მოიწონეს ცაგერის რაიონში გლეხური მეურნეობის განვითარების შესახებ დროებითი დებულება, რომლითაც მიწის ფართობის მიღების უპირატესობა გლეხური მეურნეობის შესაქმნელად ენიჭებათ მოცემული კოლმეურნეობის კოლმეურნეებს, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთ მათი მუშაობის გამოცდილების, კვალიფიკაციის, სხვა პირობებისა და ფაქტორების გათვალისწინებით. პირველ რიგში გლეხური მეურნეობები მიიღებენ იმ სახნავი მიწისა და ბაღ-ვენახების ფართობებს, რომლებსაც ისინი ამჟამად ფლობენ იჯარით, შემდეგ მათ, სურვილის მიხედვით, გადაეცემათ მიწები აუთვისებელი ფართობებიდან.

გლეხური მეურნეობის მიწის ნაკვეთების ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავენ სასოფლო საბჭოების აღმასკომები რეგიონალური თავისებურებების, სპეციალიზაციის, უპირატესად გლეხური მეურნეობის წევრთა პირადი შრომის, მოცემული მიწის დამუშავების შესაძლებლობის გათვალისწინებით საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით, არა უმეტეს ერთი ჰექტარისა, ადგილზე არსებული მიწის ფონდის რაოდენობის გათვალისწინებით.

მიწის საშუალო გადასახადი რენტა, დადგინდება იმ რაოდენობით, რასაც ფაქტიურად იხდის გლეხობა. გლეხურ მეურნეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ერთი ჰექტარი სახნავი მიწის გადასახადი განისაზღვრება 130 მანეთით, ერთი ჰექტარი ბაღის —300 მანეთით, ერთი ჰექტარი ბუნებრივი სათიბის—30 მანეთით, ერთი ჰექტარი ვენახის—450 მანეთით, ერთი ჰექტარი ნათესბალახიანი სათიბის—130 მანეთით. ერთ წელზე უხნესი ერთი პირუტყვის (ძოვების ღირებულება) 3 მანეთით, ხოლო ერთ წელზე უხნესი წვრილფეხა პირუტყვისათვის (თხა, ცხვარი, ღორი)—1 მანეთით.

კოლმეურნეობების მიერ იჯარით გაცემული 80 კილოგრამამდე წონის მსვილფეხა პოზარდი მიეყიდება გლეხურ მეურნეობას კილოგრამზე 1 (ერთი) მანეთად, 2,5 მანეთად—ღირებულ ჯიშებს. ... ... ...

# გვიმრავლოს ასეთი დედები

დიდი ილია ბრძანებდა „საკიროა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლისა... გაზრდა შვილისა ისეთი მოვალეობაა, რომ ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ. სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ამაგი... ამაგს უნდა მოვახმაროთ“.

ყველა, ვისაც შვილი ჰყავს მშობელია, მაგრამ ყველა ვერ არის დედა. იყო ჭეშმარიტი დედა—ეს მთელი სიბრძნე და ხელოვნებაა.

მახაშელმა ქალიშვილმა თამარ (გოტუნა) ახვლედიანმა, ცაგერის საშუალო სკოლა დაამთავრა და დიდი სურვილით რომ დედის, გამორჩეული პედაგოგის მარგასვიანის კვალს გაჰყოლოდა, თბილისის მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ვინ დაეცალა სტუდენტობა, თვალი მასზე ბევრს ეჭირა, მაგრამ იხუტელელთა რძალი გახდა. ხუთი საფიცარი შვილი აღზარდა დედამ, ქართული ჯილაგის გამრავლების წყარო, ქვეყნის სიცოცხლის სათავე.

რა პროფესიისას არ შეხვდებით, მარინა ფარმაცევტია, მანანა პედაგოგი, მაყვალა და თამარი ექიმები არიან, ნინო აგრონომი და რაც მთავარია, ხუთივენი ადამიანური გრძნობებით სათნოების, სიკეთით სავსენი.

დიდი ძალაა ადამიანური სიყვარული და სიკეთე. ამ ქვეყნად ყველაზე ამაღლებული და დიადი ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით დაწყებულა, რამეთუ სიძულვილს ქვეყნად არასდროს აუშენებია ტაძარი.

ხუთივე ქალიშვილმა ხომ დედისაგან ისწავლა ფიქრიც და ზრუნვაც, სიყვარულიც და ერთგულებაც.

გოტუნა არა მარტო მრავალშვილიანი დედა, არამედ ღირსეული მეუღლე და მეზობელია, მისი მონაწილეობის გარეშე კუთხეში არც ლხინია და არც ჭირი, ყველას ხელის გამმართავი და მოჭირნახულეა, მეზობლის ტკივილი მისი ტკივილია, ამიტომ უყვართ და აფასებენ.

დრო სწრაფად მიფრინავს, დიდი ოჯახის მონაგარნი ყოველ წელს მრავლდებიან—იაკობი და ნატო, ლექსო და ნათია, გიორგი და თამუნა, მიშიკო და მარიამი, მზია, ანა და მარიამი, კიდევ ვინ იცის რამდენი შეემატება.

დაიზრდებიან შვილიშვილები, ვინ იცის, ვინ რა გზას აირჩევს, რაზე გააკეთებს არჩევანს, მაგრამ ის ხომ ნაღდია, რომ თავიანთი ადამიანობით ბებიას სიბერეს ჩაუტკბობენ.

შუა ზაფხულია. ურიამულით ავსებულა კვირკაშვილების ოჯახი. პატარების საამო ყღურტული ავსებს გარემოს, ბებოს კალთაშიც ერთმანეთს ენაცვლებიან, მეზობლების ეზოებსაც აცოცხლებენ.

ახლა თამარი (გოტუნა) 65 წლისაა, მაგრამ კვლავ ახალგაზრდული შემართებით ზიდავს იმ მძიმე ტვირთს, რასაც ამდენი შვილებისა და შვილიშვილების, მტერ-მოყვარის დახვედრა ჰქვია.

ასეთ ქალებს რას ვუსურვებდი?

ცისხელა სიკეთეს, ძალიან ბევრ შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს, ჯანის სიმრთელეს და ყველა ნატვრის ასრულებას.. სიცოცხლე ხომ იწყება და არ მთავრდება, ჯერ კიდევ ბევრია გასავლელი, ბევრი ბედნიერი, ნათელი დღე ...

**გ. ბაძრაძე.**

# ყურადღება—მოზარდი

**სახელმწიფო** მშენებლობისა. და სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების დარგში კომუნისტური პარტია ერთ-ერთ ამოცანად სახავს დამნაშავეობის, ეხიხარეს ყოვლისა. არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წარმოშობის ყველა მიზეზის აღმოფხვრას და მის მთლიან ლიკვიდაციას.

ამ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმეს სკოლასთან, ოჯახთან, რაისაბჭოსა და სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა

# ავიცილოთ არასრულწლოვანთა დანაშაული

საქმეებ ს კომისიებთან ერთად ემსახურება შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექცია.

დღეს, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში ფართო ეროვნული მოძრაობა სუფევს, როცა დიდი და პატარა იღვწის საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ყველა ვალია მეტად აქტიური გახადოს მოზარდ ახალგაზრდობასთან მუშაობა, გატარდეს ქმედითი პროფილაქტიკური ღონისძიებები, რათა აღიკვეთოს არასრულწლოვანთა დანაშაული.

მოზარდი თაობის სწორ აღზრდაში გადამწყეტ როლს ასრულებს სკოლა. დიდი პედაგოგი უშინსკი გვასწავლიდა: „ადამიანი აღზრდის საგანია, მისი აღმზრდელებია სკოლა, ოჯახი, ბუნება, საზოგადოება“. სკოლა განუყოფლად აერთიანებს სწავლებასა და აღზრდას.. ბევრი სკოლა კარგად ართმევს თავს ამ დიდ მოვალეობას, მაგრამ ზოგიერთ სკოლაში სუსტია კონტაქტი მშობლებთან, მეურვეებთან, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციასთან, რაისაბჭოსა და სასოფლო საბჭოების აღმასკომების არასრულწლოვანთა კომისიებთან. ეს კონტაქტი ზოგიერთებს მხოლოდ მაშინ მოაგონდებათ, როცა არასრულწლოვანი ძნელად აღსაზრდელი ხდება, როცა უკვე მოზარდთა მიერ ჩადენილია დანაშაული.

მშობლების მაგალითზე, ბავშვებთან ქცევის სისწორეზე, აღზრდის სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების მიზნობრივ გამოყენებაზეა ძირითადად დამოკიდებული მათი შეგნებაც. სამშობლოს მოყვარულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება. შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის მუშაკები პედაგოგ ორგანიზატორთან, სკოლების, კლასის ხელმძღვანელებთან და სასოფლო საბჭოს არასრულწლოვანთა კომისიის წევრ დეპუტატებთან ერთად ქმედით პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ვატარებთ დამნაშავეობისაკენ მიდრეკილების მქონე ახალგაზრდებთან და მათ მშობლებთან, მეურვეებთან და დადებით შედეგებსაც ვაღწევთ. წინა წლებთან შედარებით შემცირდა არასრულწლოვანთა მიერ წესრიგის დარღვევების და დამნაშავეობის შემთხვევები, მაგრამ ეს — თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს.

რაიონში ჯერ კიდევ გვხვდება არასრულწლოვნების მიერ წესრიგის დარღვევის ფაქტები, მიმდინარე წლის 6 თვეში შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის მიერ გამოვლინდა და აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 25 ახალგაზრდა, რომლებმა ... ხეტებოდნენ ... ნენ სიგარეტ ... ეტანება სპირტიან სასმელს. ერთმა არასრულწლოვანმა №91 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ირაკლი ილუშას ძე ირემაძემ ჩაიდინა ქურდობა და მიცემულ იქნა პასუხისგებაში.

მოზარდს მშობლების, აღმზრდელების სისტემატური მზრუნველობა და ყურადღება სჭირდება, თორემ ქუჩა მზადაა სიმწრითა და ტანჯვით გაზრდილი ახალგაზრდა მოგვტაცოს, ჩაითრიოს თავის მდინარებაში და აიცდინოს სწორ გზას. ასეთ შემთხვევაში ზოგიერთნი ვვირჩევენ ახალგაზრდა გავუშვათ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ასეთ ადგილებში ახალგაზრდა კეთილშობილების ატესტატს ვერ მიიღებს. მთავარია გონივრულად ვიმოქმედოთ გზას აცდენილ ახალგაზრდებთან, სანამ ისინი დამნაშავეებად ჩამოყალიბდებოდნენ.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ მოზარდის აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეს კომპლექსური მიდგომა სჭირდება. სკოლა, ოჯახი, შრომითი კოლექტივი, საზოგადოებრიობა ერთნაირად პასუხისმგებელია ბავშვის სწორ აღზრდაზე. მაგრამ საუბედუროდ მოზარდის არასწორ ქმედებას მშობლები, შრომითი კოლექტივები უმეტეს შემთხვევაში მიაწერენ სკოლას, რაც არასწორია, ვფიქრობთ მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ახალგაზრდის კეთილსინდისიერ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში სკოლასთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრება ოჯახს, შრომით კოლექტივს,

(დასასრული მე-4 გვერდზე).

# საიდუმლოებანი რჩება

სოფლო, მრავალტირაჟიანი გაზეთების, ბევრი რადიოსტუდიისას და ა. შ. ჩვენ ხომ წარმომადგენლები გვყავს ძირითადად რესპუბლიკების დედაქალაქებში, სამხარეო და საოლქო ცენტრებში.

შემდეგ. არის ისეთი მასალის თანრიგები, რომლებშიც სახელმწიფო საიდუმლოებათა გათქმის ალბათობა უაღრესად მცირეა. ეს გახლავთ ლიტერატურა ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მრავალ დარგში, სახვით ხელოვნებაში, მუსიკაში, ხელახალი გამოცემები, თარგმნილი ლიტერატურა და ა. შ. ალბათ, ასეთი მასალების გამომშვები მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი არ მოინდომებენ ჩვენთან საკონსულტაციო— ხელშეკრულებათა დადებას. და, კაცმა რომ თქვა, არც ჩვენ გვჭირდება უნაყოფო შრომა.

**—როგორ წარიმართება ურთიერთობა მთავარ სამმართველოსა და მასობრივი ინფორმაციის ასეთ საშუალებებს შორის? ვთქვათ და მათს მასალებში გაჩნდა ცნობები, რონლებიც გათქმისაგან დაცვას ექვემდებარება?**

—მთავარი სამმართველო მასობრივი ინფორმაციის გამომშვები ან დამამზადებელი ორგანოების განაცხადის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ საჭირო დოკუმენტებით: პრესაში გათქმისაგან დასაცავი ცნობების ნუსხით, მეთოდიკური რეკომენდაციებით ასეთი სამუშაოს შესრულების წესის შესახებ და ა. შ. ამ ორგანიზაციებს მათი სურვილისამებრ ვუწევთ მეთოდიკურ და საკონსულტაციო დახმარებას, ვასწავლით მათ თანამშრომლებს პრესაში საიდუმლოებათა დაცვის მეთოდიკას და, ბოლოს, ბეჭდვითი გამოცემების საკონტროლო ეგზემპლარების მიხედვით ვამოწმებთ, როგორ ასრულებენ ისინი კანონის მოთხოვნებს, რათა არ დავუშვათ დასაცავი ცნობების გათქმა, ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე ყველა შედეგიანურ.

**—კიდევ რა ფუნქციებს იკისრებს მთავარი სამმართველო?**

—ვთქვათ უფრო ზუსტად: კი არ იკისრებს, არამედ ქვეყნის მთავრობა დააკისრებს. მთავარი სამმართველოს ამოცანებს შორის, პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოებათა გათქმისაგან დაცვის ღონისძიებათა გარდა, აგრეთვე საზღვარგარეთ გასატანად განკუთვნილ მასალებში სახელმწიფო საიდუმლოებათა გათქმისაგან დაცვის ღონისძიებათა გარდა, ვფიქრობ, შეიძლება იყოს პრესასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის ერთიანი სისტემის ორგანიზაცია. სრულყოფა, მეთოდიკური დახმარების გაწევა საექსპერტო კომისიებისათვის, შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მომზადება.

როგორც ჩანს, მთავარ სამმართველოს კვლავინდებურად დაეკისრება იმ უცხოური გამოცემების, აუდიო-და აუდიოვიზუალური მასალების ქვეყანაში გავრცელების აღკვეთა, რომლებიც ღია საფოსტო არხებით მოდის და შეიცავს მოწოდებებს არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალმომრეობით დამხობის ან შეცვლის შესახებ, ომის, ძალადობისა და სისასტიკის, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური სწორუპოვრობის ან შეუწყნარებლობის პროპაგანდას, პორნოგრაფიას, წაქეზებას დასჯადი ქმედების ჩასადენად. ამ ამოცანებიდან გამომდინარე, მთავარი სამმართველოს ფუნქციები და უფლებამოვალეობანი დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული დებულებაში, რომელიც განზრახული გვაქვს ღია წესით გამოვაქვეყნოთ.

საზღვარგარეთიდან შემოსული ლიტერატურის, აუდიო და აუდიოვიზუალური მასალების კონტროლს ჩვენ ვახორციელებთ არა საკუთარი ახირებით და არა უბრალოდ მთავრობის გადაწყვეტილებით, არამედ ამ საკითხზე არსებული საერთაშორისო შეთანხმებების, მათ შორის, მსოფლიო საფოსტო კონვენციის შესაბამისად. საჭიროა თუ არა პრინციპულად ... ეს მუშაობა, „თუკი ნებისმიერ მიწისქვეშა გასასვლელში შეიძლება „რაღაც ისეთი“ შეიძინო? მაგრამ უყურადღებოდ დატოვო იგი—ეს იგივეა, რომ გაუქმო იარაღის ღია ვაჭრობის აკრძალვა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ზოგიერთი დამნაშავე უკანონო გზით იძენს იარაღსა და ტყვია-წამალს.

იმ უცხოური მასალების განსაზღვრის კრიტერიუმები, რომლებიც არ ექვემდებარება ქვეყანაში გავრცელებას, ასევე შეესაბამება საერთაშორისო დოკუმენტებს და ჩვენს ახალ ბეჭდვით სიტყვის კანონსაც—გადაავლეთ თვალი მეხუთე მუხლის პირველ ნაწილს. მაგალითად, თუ საბჭოთა პრესაში დაუშვებელია ვთქვათ, ძალადობის პროპაგანდა, პორნოგრაფია, მაშ რატომ უნდა იყოს ნებადართული ამ თემაზე საზღვარგარეთის მასალების გავრცელება?

**—ბეჭდვითი სიტყვის კანონთან დაკავშირებით პრინციპულად რა ახალი ცვლილებები მოხდება თქვენს მუშაობაში საზღვარგარეთ გასატანად განკუთვნილი მასალებისადმი კონტროლისათვის?**

—მოკლედ რომ მოგახსენოთ, კიდევ უფრო მეტად გამარტივდება საზღვარგარეთ მათი გაგზავნის წესი. მაგალითად, ახალი ინსტრუქციის თანახმად, რომელსაც ჩვენ შემზღუდავი გრიფის გარეშე გავავრცელებთ, ამიერიდან ყველა ორგანიზაციას მიეცემა უფლება დამოუკიდებლად, სამინისტროს, უწყების გვერდის ავლით გაგზავნოს მასალები საზღვარგარეთ, ამასთან ისინი თავად გადაწყვეტენ, რა მასალები წარმოუდგინონ განსახილველად მთავარი სამმართველოს ორგანოებს სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მიზნით (ძირითადი თემატიკა ინსტრუქციაშია აღნიშნული) ასეთივე უფლებები ენიჭებათ ავტორებს, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას მისდევენ, პენსიონერებსა და სხვა თვითმოქმედ ავტორებს.

„იზვესტია“, №208
27. VII. 1990წ.

# საკვები და ძროხების წველადობა

ბერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გეტინგენის უნივერსიტეტის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ძროხების მაღალი წველადობა დამოკიდებულია არა მარტო საკვების შეთვისებაზე, არამედ მოხმარებული საკვების ოდენობაზეც. ისინი ვარაუდობენ, რომ საფუვრიანი კულტურების გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს საკვების გამოყენების მომატებას და ბაგის ნაკელის შედგენილობის სტაბილურობას.

პირუტყვის კვების სისტემისადმი ძირითადი მოთხოვნილებაა რძის წარმოების თვითღირებულების შემცირება, რომლის მიღწევაც შეიძლება საკვების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებით, ნაწველის ერთეულზე საკვების ხარჯის შემცირებით, უხეში საკვების გამოყენების გაზრდებითა და კონცენტრატების ხმარების შემცირებით. ამგვარად, ყოველ შემთხვევაში თითოეულ სულზე დღე-ღამეში 10 კილოგრამი რძე მაინც უნდა გამოიმუშაოს მეწველმა ძროხამ უხეში საკვების გამოყენების ანგარიშზე, მაგრამ უხეში საკვების ხარჯმა 7500 კილოგრამ რძეზე წელიწადში ორ ტონას არ უნდა გადააჭარბოს. ეს კი მიიღწევა მხოლოდ მაღალხარისხოვანი უხეში საკვების მეშვეობით, აგრეთვე შესაბამისი დანამატების გამოყენებით. მეწველი ძროხების ასეთი კვება ამავე დროს უზრუნველყოფს რძის ხარისხის მომატებასაც.

სარძევე მეურნეობის რენტაბელობისა და რძის ხარისხის ამაღლების საიმედო საშუალებაა საკვებ რაციონში ცოცხალი საფუვრიანი კულტურების დამატება. ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სარძევე მეურნეობების მფლობელები ცდილობენ არა მარტო ნაწველი გაადიდონ, არამედ გაზარდონ რძის ცილების გამოსავლიანობაც ყველის დასამზადებლად. 1960-დან 1987 წლამდე პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 3,17 კილოგრამიდან 12,2 კილოგრამამდე გაიზარდა.

სოკოს კულტურების გამოყენება ხელს შეუწყობს საკვების გამოყენების გადიდებას მისი გადამუშავების გაუმჯობესების წყალობით, ცხოველთა ზრდის ტემპის გაძლიერებას შუალედურ ცელაში მონაწილე საკვებ ნივთიერებათა ოდენობის გადიდების შედეგად, წონამატების ერთეულზე საკვების მოხმარების შემცირების ენერგიის დანაკარგების შემცირების გზით მეთანის სახით, რძის ხარისხის გაუმჯობესებას ცხიმისა და ცილების შემცველობის გადიდების შედეგად, ახალგაზრდა ცხოველების, განსაკუთრებით ხბოებისა, უარყოფითი რეაქციების შემცირებას საკვებზე, და ფაღარათის პროფილაქტიკას.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საკვებში დღეში 10 გრამი საფუარიანი კულტურის შერეკა ხელს უწყობს როგორც წველადობის მომატებას, ისე ცხიმისა და ცილების შემცველობის გადიდებას რძეში. ამასთან წველადობა 10 პროცენტით იზრდება.

# ავიცილოთ არასრულწლოვანთა დანაშაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

სადაც აღსაზრდელის მშობლები მუშაობს, გააქტიურებას საჭიროებს სასოფლო საბჭოებთან არსებული არასრულწლოვანთა კომისიების მუშაობა.

გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენა, უსაქმოდ ქუჩაში ხეტიალი, სპირტიანი სასმელების მიღება ყველა სახის დანაშაულის საწინდარია და რომ ამას ავაცდინოთ არასრულწლოვანები, თითოეული მოქალაქის ვალია დროულად მივუთითოთ ახალგაზრდას წესრიგისაკენ, მაგრამ საუბედუროდ ზოგჯერ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი. ზოგიერთ სოფელში უფროსი თაობის მიერ საღამოს საათებში ფრენბურთისა თუ სხვა თამაშის შემდეგ ადგილი აქვს სპირტიანი სასმელების დიდი რაოდენობით მიღებას, რასაც არასრულწლოვანებიც ესწრებიან და მათგან ისინი ცუდ მაგალითს ღებულობენ. ამას ყველაზე უფრო შენიშნავს სასოფლო საბჭოს არასრულწლოვანთა კომისიის წევრი დეპუტატები, ბატონ ეგნატაშვილი, ხელოვანი და არა ადმინისტრირებით უნდა აღკვეთონ ასეთი ფაქტები.

საჭიროა არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან ბრძოლის მთავარ მიმართულებად მივიჩნიოთ პროფილაქტიკური, გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, ამ მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა, მშობლებისა და ყველა მოქალაქის პასუხისმგებლობის ამაღლება.

მოზარდი ჩვენი უპირველესი საზრუნავია, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექცია სკოლასთან, ოჯახთან, არასრულწლოვანთა კომისიებთან მჭიდრო კავშირით ყველაფერს გააკეთებს, რათა თავიდან ავიცილოთ დანაშაული და საბრალდებულო სკამზე არ მოხვდეს არცერთი არასრულწლოვანი.

**თ. სილაგაძე,**
**შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორი.**

# ნიჟარა 4 ათასი წლისაა

ეგვიპტის სიძველეთა დეპარტამენტის ინსპექტორი რუშდი ალ-ბადრი ამტკიცებს, რომ ნილოსის ველზე ყოველგვარი გათხრების ან უბრალოდ მიწის სამუშაოების დროსაც კი არქეოლოგები ყოველთვის რაღაც ძვირფას ნაპოვნს წააწყდებიან ხოლმე.

უკანასკნელი ექსპედიციის დროს, ეგვიპტელმა არქეოლოგმა თავისი კვლევის ობიექტად აირჩია ზემო ეგვიპტის ერთ-ერთი ჩვეულებრივი სოფელი—ზორა იქატი. მუშაობის პირველსავე საათებში მის წინაშე აღმოჩნდა ფერადნახატებიანი კედელი, რომელზედაც გამოსახული იყო ძველეგვიპტელთა ოჯახი ძაღლით, აგრეთვე სხვადასხვა ყოფითი სცენები. მან იქვე აღმოაჩინა კარგად შენახული ზღვის ნიჟარა, რომელიც ოთხი ათასი წლისაა.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

## მოსახლეობის საყურადღებოდ!

ღვირიშის საკირე საამქროში იყიდება საამშენებლო კირი. მსურველებს ყოველდღიურად შეუძლიათ მისი შეძენა.

**იური ჩხეტიანი. სოფელი ღვირიში.**


## ჭილოცავთ ახლადდაქორწინებულებს!

**მადონა გენიძეს**
**გესიკ მუკგანიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. აკვანთა სიმრავლე ნუ მოჭკლებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს.

**მანანა მამარდაშვილი, ლია პატაშური, მანანა ომანაძე. მერაბ ქომეთიანი.**

## ჭილოცავთ

**ლამარა აკაკის ასულ განდელიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს თქვენს ქმარშვილთან და შვილიშვილებთან ერთად.

**ნანული, გრიშა, აზა, მურთაზ კოპალიანები, ნაილი, გელა ლეთოდიანები, ნაირა, გრიგოლ საღინაძეები.**

**გია გივის ძე ჯიაძეს**

ბიძია გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს. ბედნიერება და სიხარული ნუ მოგკლებოდეთ თქვენი ცხოვრების მანძილზე.

**გია, გოჩა საღინაძეები, ჭაბუკა, ბუჭა ბურჯალიანები, დათო კენჯია.**



მეუღლე ნაზიკო, შვილები რუსუდანი, მურადი, დები თინა, ზინა, ბაბუცა, რძალი ციცო ქარსელაძე, სიძეები სოსო კუხალაშვილი, ბენია ბრეგაძე, ჯიბილო მანაგაძე, შვილიშვილები რუსლანი, იმედა, თამთა, პაატა, ემზარი, ქეთინო, დისშვილები ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბიჭიკო (ვალოდია) ელიზბარის ძე კოპალიანი.**

დაკრძალვა 9 აგვისტოს, ხუთშაბათს, 18 საათზე, ქ. ცაგერში.

---

წიფერჩის სასოფლო საბჭოს აღმასკომის, კავშირგაბმულობის განყოფილების, საექიმო უბნის, კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკები თანაუგრძნობენ ფოთოლა კოპალიანს და ნანი ქომეთიანს დედამთილისა და მამიდის

**ნელი ფუტკარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნინა, დემურ, მარინე კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბიჭიკო ელიზბარის ძე კოპალიანი**

---

ცაგერის სახ. დაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სერაპიონ ახვლედიანს დის

**თამარ ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ნაზიკო, ლენა, და ნადია, შვილიშვილები მზია, თემურ ონიანები, ზური კოპალიანი, მული ნინა, სიძე კაკო კოპალიანი, რძლები თამარ, ვერა ქვირკაშვილები, ლილი ფოფხაძე, ძმისშვილები, მაზლისშვილები, მულისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კატო ილარიონის ასული ქვირკაშვილი-ბურჯალიანი.**

დაკრძალვა 11 აგვისტოს, შაბათს, სოფ. ორბელში.

---

შოთა მურცხვალაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ბიჭიკო ელიზბარის ძე კოპალიანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ეორა, ნათია, სოსო ლეთოდიანები, ლუნა ქარსელაძე, მირზა შველიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბიჭიკო ელიზბარის ძე კოპალიანი.**

---

დიტო ხეცურიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ბიჭიკო ელიზბარის ძე კოპალიანი.**

---

ჯიმშერ ყვირილიანი, ლეო ყურაშვილი, გერასიმე ცხვედიანი, ნუკრი საღინაძე, ეთერ, ანზორ, ტიტიკო კოპალიანები, თამაზ სილაგაძე, გურამ ჩარკვიანი, ზაურ ბენიძე, თინა ახვლედიანი, ბორის მურცხვალაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბიჭიკო ელიზბარის ძე კოპალიანი.**

---

ბახვა კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნაზიკო, მურად კოპალიანებს მეუღლისა და მამის

**ბიჭიკო (ვალოდია) კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები არტურ ყვირილიანი, თამარ, რომან, ბენია ახვლედიანები, გია კოპალიანი, სოსო, ბიჭიკო ჩაკვეტაძეები, სარდიონ ფუტკარაძე, გიორგი ბენიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბიჭიკო ელიზბარის ძე კოპალიანი.**

---

ბარდნალის საშუალო სკოლის 1977 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ნაზი სილაგაძე თანაუგრძნობენ ომარ ფუტკარაძეს დედის

**ნელი ფუტკარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ბიჭტორ ქარსელაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ბიჭიკო ელიზბარის ძე კოპალიანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

კოოპერატივ „სიახლის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამირან ფუტკარაძეს დედის

**ნელი ფუტკარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

რაიონული საავადმყოფოს პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციცო ქარსელაძეს და მურად კოპალიანს მამამთილისა და მამის

**ბიჭიკო კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.


ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, ინდექსი 66589, შეკვეთა 97 ტირაჟი 4000

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.